77

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება

1.1.1/10/37-8

ქ. თბილისი

18 იანვარი, 2013 წელი

ერთის მხრივ ქალაქ თბილისის მერია (შემდგომში – შემსყიდველი), ქ. თბილისის მერის მოადგილის ტარიელ ხიზანეიშვილის სახით და მეორეს მხრივ შ.პ.ს „გზამშენი-4“ (შემდგომში – მიმწოდებელი), მისი დირექტორის რეზო ჩახვაშვილის სახით, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი, ობიექტი, ხელშეკრულების ძალაში შესვლა და მოქმედების ვადა

1.1 **ხელშეკრულების საგანია:** ქ. თბილისში, გლდანის ზონის გზებისა და ქუჩების მიმდინარე (ორმოული) შეკეთების სამუშაოების შესყიდვა, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის III პუნქტის ბ ქვეპუნქტის შესაბამისად (2013 წლის 17 იანვრის № 10-18/212 წერილი).

1.2 **ხელშეკრულების ობიექტია:** ქ. თბილისში, გლდანის ზონის გზებისა და ქუჩების მიმდინარე (ორმოული) შეკეთება.

1.3 **კლასიფიკატორის კოდი – 45233142;**

1.4 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების ხელმოწერიდან და ძალაშია 2014 წლის 15 თებერვლის ჩათვლით.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარში.

2.2 შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს **110 080,63** (ასათი ათას ოთხმოცი ლარი და 63 თეთრი) ლარს, ყველა გადასახადის ჩათვლით.

2.3 შესასრულებელი სამუშაოების მოცულობისა და ღირებულების აღწერა თან ახლავს ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

2.4 ხარჯთაღრიცხვით განსაზღვრული სამუშაოების მოცულობები შესაძლებელია შეიცვალოს აღმოჩენილი შესასრულებელი სამუშაოების გათვალისწინებით.

3.სამუშაოს შესრულების პირობები

3.1 შესაკეთებელი კონკრეტული ობიექტ(ები)ის მისამართი და შესრულების ვადა შემსყიდველის (წარმოდგენილი ქ. თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის სახით) მიერ ეტაპობრივად ეცნობება მიმწოდებელს.

3.2 მთლიანი სამუშაოების დასრულების ვადა – ეტაპობრივად, 2013 წლის 15 თებერვლის ჩათვლით.

3.3 მიწოდების ადგილი – ქ. თბილისი, გლდანის ზონის გზები და ქუჩები.

3.4 მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაოები განახორციელოს საკუთარი ტექნიკით.

4. ანგარიშსწორება და ანგარიშსწორების ვალუტა

4.1 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში.

4.2 ანგარიშსწორება მოხდება 2013 წლის თბილისის ბიუჯეტის სახსრებით. ეტაპობრივად, შესრულებული სამუშაოების მოცულობების მიხედვით, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში.

4.3 წინასწარი ანგარიშსწორება (ავანსი) არ გამოიყენება.

5.ხელშეკრულების შესრულების კონტროლი (ინსპექტირება)

5.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების პერიოდულ ინსპექტირებას და კონტროლს ნებისმიერ ეტაპზე ახორციელებს შემსყიდველი.

5.2მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებენ ქ. თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის თანამშრომლები.

5.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო

ქ. თბილისის მერიის მუნიციპალური
მესყიდველის საქალაქო სამსახური
რეგისტრირებულია
ხელშეკრულების № 156
საინფორმაციო №
რეგისტრაციის თარიღი: 06.02.13
ელფოსტა: L.Zviadauri

პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1შესყიდვის ობიექტის ან მისი ნაწილის (ეტაპი) დასრულების შემდეგ მიმწოდებელი ვალდებულია აცნობოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ან მისი ნაწილის (ეტაპი) დასრულების შესახებ და წარუდგინოს ანგარიშები (შესრულებული ვალდებულების შესახებ).
6.2 მიმწოდებლის მიერ შესყიდვის ობიექტის ან მისი ნაწილის (ეტაპი) დასრულების შესახებ შეტყობინების მიღების შემდეგ შემსყიდველის მიერ დაქირავებული საექსპერტო ჯგუფი განახორციელებს შესყიდვის ობიექტის ან მისი ნაწილის (ეტაპი) რაოდენობრივი და ხარისხობრივი პარამეტრების შემოწმებას და შემოწმების შედეგებს აცნობებს შემსყიდველს, რის შემდეგაც შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი (შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე უფლებამოსილ პირებს წარმოადგენენ წინამდებარე ხელშეკრულების მე-5 მუხლში მითითებული პირები).
6.3 შემსყიდველის მიერ დაქირავებული საექსპერტო ჯგუფის მიერ შესყიდვის ობიექტის ან მისი ნაწილის (ეტაპი) რაოდენობრივი და ხარისხობრივი პარამეტრების შემოწმების დროს დეფექტის ან ნაკლის გამოვლენის შემთხვევაში შემსყიდველი ოპერატიულად, წერილობითი სახით, აცნობებს მიმწოდებელს შემოწმების შედეგებს - დაწუნებულ სამუშაოებს და წუნდების მიზეზებს.
6.4 შემსყიდველს შეუძლია უარი განაცხადოს შესყიდვის ობიექტის ან მისი ნაწილის (ეტაპის) მიღებაზე იმ შემთხვევაშიც, თუ შუალედური კონტროლის შედეგები იყო დადებითი.
6.5 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია.

7.შესრულებული სამუშაოს ხარისხი და გარანტია

7.1 ხელშეკრულების ფარგლებში შესასრულებელი სამშენებლო სამუშაოების ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს სამშენებლო ნორმებითა და წესებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და სტანდარტებს;
7.2სამუშაოების დასრულების შემდეგ **1 (ერთი)** წლის განმავლობაში რაიმე წუნის (ნაკლოვანებები, დეფექტი) აღმოჩენის შემთხვევაში, თუ დადგინდება რომ აღნიშნული წუნი (ნაკლოვანებები, დეფექტი) გამოწვეულია უხარისხო და არაჯეროვანი შესრულებით, მიმწოდებელი ვალდებულია აღმოფხვრას უხარისხოდ შესრულებული სამუშაოები საკუთარი ხარჯებით;

8. უსაფრთხოება და გარემოს დაცვა

8.1 მიმწოდებელმა სამუშაოების განხორციელების განმავლობაში საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის და არსებული ნორმების შესაბამისად, უნდა მიიღოს აუცილებელი ზომები ტექნიკური უსაფრთხოების და გარემოს დაცვის უზრუნველსაყოფად.
8.2 მიმწოდებელი საქართველოში ტექნიკური უსაფრთხოების და გარემოს დაცვასთან დაკავშირებით მოქმედი კანონების და ნორმების შესაბამისად ვალდებულია მიიღოს უსაფრთხოების აუცილებელი ზომები მშენებლობის ზონაში ხანძრის გაჩენის და აფეთქების თავიდან ასაცილებლად.

9. ფორს-მაჟორი

9.1ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და მიმწოდებლისათვის ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას.
9.2ამ მუხლის მიზნებისათვის "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
9.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების

შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.
9.4იმ შემთხვევაში თუ ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო, იცვლება ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე პირობა, აღნიშნული ცვლილება უნდა გაფორმდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების სახით.

10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა
(საჯარიმო სანქციები, ფორმა, ოდენობა, და გადახდის ვადები)

10.1ფორს-მაჟორული პირობების გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის, არაჯეროვნად შესრულების ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები.
10.2 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის, არაჯეროვნად შესრულების ან შესრულების ვადის გადაცილებისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, _ ყოველ (ყოველი კონკრეტული სამუშაოების მოცულობის მოთხოვნიდან შესრულების) ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით, ხოლო, თუკი ადგილი აქვს ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობას, პირგასამტეხლო შეადგენს ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.1 %-ს.
10.3 თუ მიმწოდებლის მიერ ვადების დარღვევა გამოწვეული არის შემსყიდველის მიერ დაქირავებული საექსპერტო ჯგუფის მიერ შესყიდვის ობიექტის ან მისი ნაწილის (ეტაპი) რაოდენობრივი და ხარისხობრივი პარამეტრების შემოწმებისათვის აუცილებელი დროის გამოყენებით, ასეთ შემთხვევებში არ იქნება გამოყენებული წინამდებარე ხელშეკრულების 10.2 პუნქტით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები.
10.4 სამუშაოების შესრულებისას მიმწოდებლის მიერ საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი უსაფრთხოების ნორმების დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება ყოველ კონკრეტულ დარღვევაზე ჯარიმა 200 ლარის ოდენობით;
10.5 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.
10.6 საჯარიმო სანქციით დაკისრებული თანხა გადახდილი უნდა იქნეს მხარისათვის (მიმწოდებელი) აღნიშნულის თაობაზე გადაწყვეტილების (წერილი ჯარიმის დაკისრების თაობაზე) გაცნობიდან 1 თვის ვადაში.

11. ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ.
11.2 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი.
11.3 ხელშეკრულების შეწყვეტისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.
11.4ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.
11.5ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.
11.6შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:
ა) სამუშაოს შესრულების ვად(ებ)ის ორჯერ დარღვევის შემთხვევაში;
ბ)თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.
11.7 ამ მუხლის მე-6 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად გაწეული სამუშაოს ღირებულება.

12. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

12.1ხელშეკრულების დამდებ არც ერთი მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

12.2თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

12.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება (მათ შორის მხარეთა შეთანხმებით ხელშეკრულების შეწყვეტა) უნდა გაფორმდეს წერილობით - მხარეთა შეთანხმების სახით და დანართის სახით უნდა დაერთოს ხელშეკრულებას. მხარეთა წერილობითი შეთანხმება ცვლილების თაობაზე, ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

13. უფლებების გადაცემა;

13.1მხარე ვალდებულია მეორე მხარეს წარუდგინოს წერილობითი განცხადება მესამე პირისათვის მთლიანი ან დარჩენილი უფლება-მოვალეობების გადაცემის თაობაზე, აგრეთვე, მესამე პირის წერილობითი თანხმობა ხელშეკრულებით განსაზღვრული მთლიანი ან დარჩენილი ვალდებულებების შესრულების თაობაზე.

13.2 მხარეებს არა აქვთ უფლება მხარეთა (შემსყიდველი - მიმწოდებელი - მესამე პირი) წერილობითი შეთანხმების გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი.

13.3 უფლება-მოვალეობების გადაცემა ფორმდება მხარეთა წერილობითი შეთანხმებით (შემსყიდველი - მიმწოდებელი - მესამე პირი).

13.4 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

14.ფასები

14.1 მიმწოდებლის მიერ შემოთავაზებული შესასრულებელი ვალდებულების ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებას.

14.2 მხარეთა შეთანხმებით დასაშვებია ხელშეკრულების ღირებულების შეცვლა.

14.3 ხელშეკრულების ღირებულების პარამეტრების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

14.4 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობის გაზრდა.

14.5 ხელშეკრულების ღირებულების შეცვლა ფორმდება მხარეთა წერილობითი შეთანხმების სახით.

15. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

15.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, შესაბამისმა მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანით, მხარეთა წერილობითი შეთანხმების სახით.

16. ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის

16.1 ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის უნდა ატარებდეს წერილობით ფორმას. წერილობითი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე ხელშეკრულების შესაბამისად უგზავნის მეორე მხარეს, იგზავნება საფოსტო გზავნილის სახით. ოპერატიული კავშირის დამყარების მიზნით დასაშვებია შეტყობინების მეორე მხარისათვის მიწოდება დეპეშის, ტელექსის, ელექტრონული ფოსტის ან ფაქსის გაგზავნის გზით იმ პირობით, რომ შეტყობინების ორიგინალი შემდგომში წარედგინება მეორე მხარეს უშუალოდ ან ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე საფოსტო გზავნილის გაგზავნის მეშვეობით.

16.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს.

17. სადაო საკითხების გადაწყვეტა

17.1 ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ნებისმიერი უთანხმოება და დავა წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ, შესაძლებელია გადაწყდეს მხარეთა გონივრული შეთანხმებით ან/და მოგვარდეს პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების მეშვეობით სამართლიანობის ფარგლებში.

17.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შესძლებენ სადაო საკითხების თაობაზე შეთანხმებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს

17.3 ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებული უფლებებით გათვალისწინებული ვალდებულებების დაცვა და ამ უფლებების გამოყენების პროცესში წარმოშობილი დავების მოგვარება ეკისრება მიმწოდებელს

17.4 ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით, გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი მუხლები.

17.5 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

18. ხელშეკრულების ენა

18.1 ხელშეკრულება შედგენილი უნდა იქნეს ქართულ ენაზე, ოთხ ეგზემპლარად, თითოეულ მათგანს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა. იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულების მეორე მხარე არის უცხო ქვეყნის წარმომადგენელი, მისი მოთხოვნის შემთხვევაში, ერთი ეგზემპლარი ითარგმნება მიმწოდებლისათვის მისაღებ ენაზე. ინტერპრეტაციისას ქართულ ენაზე შედგენილ ხელშეკრულებას მიენიჭება უპირატესობა.

19. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები:

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
ქ. თბილისის მერია	შ.პ.ს „გზამშენი-4“
----------	----------
ტარიელ ხიზანეიშვილი მერის მოადგილე	რეზო ჩახვაშვილი დირექტორი
ქ. თბილისის მერია ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7 სს "ლიბერთი ბანკი" ბანკის კოდი: **LBRTGE22** საიდ. კოდი: 204521794 ა/ა: **GE95LB0125152101627000**	შ.პ.სმ „გზამშენი-4“ ქ. თბილისი, რუსთავის გზატკეცილი, №247 სს "საქართველოს ბანკი" ბანკის კოდი: **BAGAGE22** საიდ. კოდი: 204388402 ა/ა: **GE94BG0000000122918100**

ქ. თბილისში, გლდანის ზონის გზებისა და ქუჩების მიმდინარე (ორმოული) შეკეთება

ხარჯთაღრიცხვა

№	სამუშაოს დასახელება	განზ. ერთ.	რაოდენობა	ერთ. ფასი.	მთლიანი ღირებულება
1	2	3	4	5	6
1	დაზიანებული ა/ბეტონის საფარის ფრეზირება (საშ. სისქით 10 სმ–მდე) და ადგილზე დასაწყობება შემდგომი გამოყენებისათვის	$მ^2$	600,00	2,00	1 200,00
2	დაზიანებული ა/ბეტონის საფარის ფრეზირება (საშ. სისქით 10 სმ–მდე) და გატანა შემსყიდველის მიერ მითითებულ ადგილზე შემდგომი გამოყენებისათვის, 15 კმ–მდე მანძილზე	$მ^2$	1 200,00	2,50	3 000,00
3	დაზიანებული ა/ბეტონის საფარის მოხსნა პნევმატური ჩაქუჩებით და დატვირთვა ავტოთვითმცლელზე	$მ^3$	50,00	9,00	450,00
4	ორმოების ნაწიბურების დამუშავება მთელ პერიმეტრზე ხერხით ან ფრეზით	გ.მ	3 700,00	0,30	1 110,00
5	III კატ. გრუნტის (ან ნაშალი მასალის) დამუშავება მექანიზმებით და დატვირთვა ავტოთვითმცლელზე	$მ^3$	50,00	2,60	130,00
6	III კატ. გრუნტის დამუშავება ხელით და დატვირთვა ავტოთვითმცლელზე	$მ^3$	10,00	6,00	60,00
7	საფუძვლის ქვედა ფენის მოწყობა ქვიშა–ხრეშოვანი ნარევით, დატკეპნით	$მ^3$	40,00	13,00	520,00
8	საფუძვლის ზედა ფენის მოწყობა ფრ. ღორღით (0 - 40) მმ, დატკეპნით	$მ^3$	20,00	25,00	500,00
9	საფუძვლის ზედა ფენის მოწყობა ფრ. ღორღისა (60%) და ასფალტის გრანულატის (40%) ნარევით	$მ^3$	40,00	16,00	640,00
10	საფუძვლის ზედა ფენის მოწყობა ასფალტის გრანულატით	$მ^3$	30,00	4,00	120,00
11	ნაწიბურების და ბზარების დამუშავება თხევადი ბიტუმით	ლ	1 200,00	1,20	1 440,00
12	ბიტუმის ემულსიის მოსხმა საფუძვლის ზედა ფენაზე	ლ	500,00	1,20	600,00
13	ბიტუმის ემულსიის მოსხმა საფარის ქვედა ფენაზე	ლ	800,00	1,20	960,00
14	შემასწორებელი ფენის მოწყობა წვრილმარცვლოვანი ა/ბეტონით	ტ	80,00	140,00	11 200,00
15	საფარის ქვედა ფენის მოწყობა მსხვილმარცვლოვანი ა/ბეტონით საშ. სისქით 6 სმ.	$მ^2$	900,00	18,00	16 200,00
16	საფარის ზედა ფენის მოწყობა წვრილმარცვლოვანი ა/ბეტონით საშ. სისქით 4 სმ.	$მ^2$	1 100,00	14,50	15 950,00
17	საფარის ზედა ფენის მოწყობა წვრილმარცვლოვანი ა/ბეტონით საშ. სისქით 5 სმ.	$მ^2$	1 400,00	17,50	24 500,00
18	სამშენებლო ნარჩენების გატანა ნაგავსაყრელზე საშუალოდ 15 კმ–ზე.	ტ	200,00	7,00	1 400,00
	ჯამი				**79 980,00**
	ზედნადები ხარჯები – 8 %				6 398,40
	ჯამი				86 378,40
	მოგება – 8 %				6 910,27
	ჯამი				93 288,67
	დღგ – 18 %				16 791,96
	სულ				**110 080,63**

ქ. თბილისის მერია

ტარიელ ხიზანეიშვილი
მერის მოადგილე

შ.პ.ს "გზამშენი-4"

რეზო ჩახვაშვილი
დირექტორი

77

ხელწერილი

ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ. თბილისი

18 იანვარი, 2013 წელი

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი ვადასტურებთ, რომ ქ. თბილისში, გლდანის ზონის გზებისა და ქუჩების მიმდინარე (ორმოული) შეკეთების სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებით, ჩვენი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს 2005 წლის 20 აპრილის კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს და შესყიდვაში მონაწილეობით ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით.

ქ. თბილისის მერის მოადგილე

ტარიელ ხიზანეიშვილი -

ქ. თბილისის მერიის მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახურის უფროსი

ალექსი თაბუაშვილი -

ქ. თბილისის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი

ილია ათანასოვი -

ქ. თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის უფროსი

გიორგი ყოჩიაშვილი -

ქ. თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე

ლევან ჩალაძე -

ქ. თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის ტექნიკური ზედამზედველობის განყოფილების უფროსი

პავლე ხაჩიძე -

ქ. თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის ტექნიკური ზედამხედველი

მურთაზ ხარჩილავა -